

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ლოგისტიკისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ლოგისტიკისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და ანესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა დოკუმენტებით.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე და ასრულებს რექტორის მითითებებსა და დავალებებს.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

სამსახური საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) განსაზღვრავს უნივერსიტეტის ლოგისტიკური უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად პრინციპებს და პოლიტიკას;

ბ) უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების ეფექტურად განკარგვის მიზნით ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებსა და რეკომენდაციებს;

გ) ბიუჯეტის პროექტის შედგენისას უზრუნველყოფს ლოგისტიკის სფეროში წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენას;

დ) უზრუნველყოფს ანგარიშების შედგენას და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის წარდგენას;

ე) მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოფს ლოგისტიკური ვითარების დადგენას და რეაგირებას;

ვ) უზრუნველყოფს ხანძარსა და სხვა საფრთხეების შექანიზმების შემუშავებას;

ზ) მონაწილეობს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფის გეგმის შემუშავებაში დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;

თ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური მარაგების შექმნას, აღწერას, შენახვას, განაწილებას და მართვას;

ი) უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამართულ ფუნქციონირებას;

კ) უზრუნველყოფს შესყიდვების პროცედურების წარმართვას, შესყიდვების წინა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას და შესყიდვის სამუშაოების შერჩევას, ასევე შესყიდვებთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადებას;

ლ) უზრუნველყოფს სამშენებლო-სამონტაჟო, კეთილმოწყობის, სარეკონსტრუქციო, სარემონტო-საავარიო და სხვა სამუშაოების წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სხვა სათანადო ღონისძიებების გატარებას;

მ) უზრუნველყოფს ელექტროსისტემების, სანტექნიკის, კავშირგაბმულობის, ლიფტების, საქვაბე მეურნეობის და სხვა სისტემების საქმიანობის მონესრიგებას და კოორდინაციას;

ნ) უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, მანქანა-დანადგარების, განათების, გათბობის, საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის, სავენტილაციო, მიწისქვეშა კომუნიკაციების და სხვა სისტემების გამართული ფუნქციონირების კონტროლს;

ო) ხანძრის ან სხვა საგანგებო სიტუაციებში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფთა ევაკუაციის ორგანიზებას და დახმარების განევას შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაციით;

პ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სანყოფის გამართულ ფუნქციონირებას;

ჟ) უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მონაწილეობს ინვენტარიზაციის პროცესში;

რ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცის მოწყობას;

ს) პასუხისმგებელია ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვაზე;

ტ) მონაწილეობს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება/განვითარება/განხორციელებაში;

უ) ასრულებს ხელმძღვანელობის სხვა მითითებებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, მაგრამ უკავშირდება სასწავლო პროცესის გამართულ ფუნქციონირებას და უნივერსიტეტის ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახური წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ბეჭირი შეთანხმების საფუძველზე.

2. სამსახურის სტრუქტურა და თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ამ დებულებით სამსახურისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დგინდება დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და სამუშაოს აღწერილობებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.